სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 318

(ოქმი № 304)

თბილისი 2015 წლის 20 ოქტომბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბიუჯეტში ცვლილების შეტანისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "გ" ქვეპუნქტის და 35^9(1) მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ცვლილება შევიდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში და შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტი თანდართული სახით.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტი (1 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ნათელა სახოკია

ლელა გაფრინდაშვილი

ალექსანდრე ვახტანგოვი

დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მ/შ

ჯ.გვეტაძე ----------

29 სექტემბერი 2015 წელი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზ. ხალვაში ----------

29 სექტემბერი 2015 წელი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს **2015** წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი

ხ ა რ ჯ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ხაზინა	ეკონ. საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან	სულ
შრომის ანაზღაურება	3342700	99025	3441725
მივლინებები	86500	49000	135,500
მრჩეველთა საბჭო	91845	3075	94,920
ადმინისტრაციული	685000	14000	699,000
საინფორმაციო	161511	0	161,511
პროდიუსინგი	503564	11500	515,064
ტექნიკური	1251880	37400	1,289,280
სხვა გადასახდელები		45000	45,000
სულ ჯამი	**6,123,000**	**259,000**	**6,382,000**

განმარტებითი ბარათი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის

ბიუჯეტის ცვლილების პროექტზე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 31აგვისტოს #309 გადაწყვეტილებით დამტკიცებული იქნა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის კორექტირებული ბიუჯეტი.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში მუხლობრივ ცვლილებებს, რაც გულისხმობს შემდეგს:

- ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას 5840 ლარით, რაც გამოწვეულია სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურებების შესყიდვებისას წარმოქმნილი ეკონომიით;

- პროდიუსინგის ხარჯების შემცირებას 21360 ლარით, რაც გამოწვეულია სტუდიების განახლების მომსახურების შესყიდვის განუხორციელებლობით;

- ტექნიკური ხარჯების შემცირებას 20000 ლარით, რაც გამოწვეულია 2015 წლის 20 ნოემბრიდან კომპანია „თურქსატთან“ თანამგზავრული მაუწყებლობის მომსახურების შესყიდვაზე არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით, ანალოგიური მომსახურების შედარებით დაბალი ღირებულების ფარგლებში მოწოდების შესაძლებლობის არსებობის გამო;

- შრომის ანაზღაურების მუხლის გაზრდას 18700 ლარით, რაც დაკავშირებულია შიდა წარმოებაში ახალი სატელევიზიო პროექტების შექმნასთან;

- მივლინებების ხარჯების გაზრდას 6500 ლარით, რაც დაკავშირებულია როგორც ახალ სატელევიზიო პროექტებთან, ისე ვალუტის კურსის ზრდის გამო მნიშვნელოვნად გაზრდილ საზღვარგარეთ მივლინებების ხარჯებთან;

- საინფორმაციო ხარჯების გაზრდას 22 000 ლარით, რაც გამოწვეულია საინფორმაციო სააგენტო „როიტერთან“ საინფორმაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების აუცილებლობით (აღნიშნული მომსახურების გაძვირება ასევე დაკავშირებულია გაზრდილ სავალუტო კურსთან).

ამასთან, წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები არ შედის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის მუხლობრივ განაწილებაში.

დირექტორი სოსო სტურუა

24.09.2015